K 211692
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს გალაკტიონს
მე ვკითხე ერთხელ...

მურმან ლებანიძე







ეროვნული
ბიბლიოთეკა



გამომცემლობა
«განათლება»
1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს
გალაკტიონს
მე ვკითხე
ერთხელ...

მურმან
ლაბაძანიძე

თბილისი
1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 211.692
3

გალაკტიონი

გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების მესამე დღეს, ჯერ კიდევ დაკრძალვამდე, გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე მე ვწერდი: „საფიქრებელია, ბარათაშვილი ვერ გრძნობდა თავის გენიალობას; სხვაა გალაკტიონი. გალაკტიონის ცხოვრება და პოეზია იყო განუწყვეტელი ლტოლვა ზენიტისაკენ. გალაკტიონმა იცოდა თავისი ფასი. გალაკტიონი თვითშეცნობილი პოეტური გენია იყო“ — და გამოსათხოვარ წერილს ასე ვამთავრებდი: „გალაკტიონს დიდება არ აკლდა, მაინც, ვფიქრობ, მისი ნათელი იმატებს...“

ისე ეოველი კარგად აგხდენიათ, როგორც სულ რამდენიმე წელიწადში პოეტის გიგანტური ფიგურა მთელი სიცხადით გამოიკვეთა მისი თანამედროვე პოეზიის ფონზე და სიტევაშეუბრუნებელი მანძილით დასცილდა საუკუნის პოეტური ცხოვრების ეოველდღიურობას, რომლის წიაღშიც იგი ტრიალებდა და სადაც მას, როგორც ეოველ ძეხორციელს, თავსაც კი უტოლებდნენ. ის წუალგაღმა აღმოჩნდა და ახლა ჩვენ ერთმანეთს შევეჯიბრეთ მის გადიდებაში, ახალ ეპითეტებს დავუწეთ ძებნა და ისიც გვეცოტავა, რაც ცოტა ხნის წინათ გვებეერებოდა.

„უსაზღვროა გალაკტიონ ტაბიძის დამსახურება ქართული ლექსის განვითარების საქმეში, განუზომელია გალაკტიონის გავლენის ძალა მეოცე საუკუნის მთელ ქართულ პოეზიაზე. მსოფლიო პოეტური კულტურის გამოცდილებაზე დაურდნობით გალაკტიონ ტაბიძე თვისობრივად აახლებს ქართულ ლექსს, ნახევარი საუკუნის გრძელ გზაზე ტიტანურ შრომას ეწევა და ქართული პოეზია ახალ შარაზე გამოჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორკესტრის დირიჟორად აქცევს პოეტს ათეულობით რიტმის ფლობა, რამხელა საშუალებას აძლევს მას შეუზღუდველად ითარეშოს ბუნებრივ ფრაზათა, მშვენიერ გამოთქმათა სამეაროში, არ ჰკრიჭოს და არ განავრცოს ისინი ხელოვნურად, მისთვის ცნობილი თითო-ოროლა რიტმის ფარგლებში, და ამით პირველეოფილი მშვენიერება შეუნარჩუნოს მათ...

აი, ასეთი მძლავრი შეიარაღება დაგვიტოვა ჩვენმა მასწავლებელმა. სირცხვილია და მხოლოდ უღონობას მოასწავებს მისი გამოუყენებლობა. სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე პოეტების უმრავლესობა საერთოდ ვერ ფლობს მზამზარეულად გადმოცემულ ძვირფას იარაღს, თითო-ოროლა რიტმში გაწაფულა, ან რომელსამე ერთს მისცივებია, რაც ერთფეროვნების, მონოტონურობის დაღით აღბეჭდავს პოეტის შემოქმედებას.

რაც შეეხება ახალი რიტმების ქმნადობას — ძალიან იშვიათად!

. . .

გალაკტიონის პოეზიის მილიარდ საიდუმლოებათაგან მე განგებ ერთზე (თუმცა ერთ-ერთ უმთავრესზე!) გავამახვილე ეურადღება, რათა „დანგრეული“ ლექსით გატაცებული ახალი თაობებისათვის შემეხსენებია, რომ ლექსი პირველ ეოვლის წეობილი სიტეკვაა და შემდგომ — სხვა დანარჩენი.

ეს წიგნი, — წიგნი სინანულისა და მადლიერების, — ესსეის, მემუარისა და ოცდაათი ლექსისაგან შედგენილი, დაწერილია პოეტის მიერ, რომელმაც თუ რამ საიდუმლო პოეზიისა იცის, ოთხი მეხუთედი გალაკტიონისაგან უსწავლია და მხოლოდ ერთი მეხუთედი — დანარჩენ მსოფლიოთაგან. ხოლო თუ ეს ზედ არ აწერია ეოველ მის ლექსს — მით უკეთესი...

მ ე რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ე

84 Гр 7
ლ 341

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი გიორგი წერეთელი

ფოტომასალა დაამუშავა და სასტამბოდ
მოამზადა ოთარ ცქვიტინიძემ. გამოცემა
ხორციელდება ავტორის ხარჯით.

© მ. ლებანიძე, 90

4700000000
Л ——————————— — ბრძ. 90
М 602 (08) 90

ISBN 5-505-01455-0

ეროვნული
ბიბლიოთეკა



†

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის „მთვრალი“ იყო, როგორც ყოველთვის!):
— ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ
მეორე პოეტი...

უცებ, ჭინკებით გაევსო თვალი —
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
— საქართველოში?!! — ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე
მოისვა ბრჭყალი...

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

გალაკტიონი მობრძანდა,
უცნობ პოეტებს შესცინა,
მაჩაბლის ქუჩით მობრძანდა
და ახლა ბაღში მოჩანდა
წვერმოშვებული ჯეჯილად.

მოვლილი ჰქონდა ზღვისპირი,
წელს ზღვისას წერდა მეტწილად,
ხელთ თვისი უნაბისფერი
მეხუთე ტომი ეჭირა.

მეხუთე ტომი ეჭირა,
რომელსაც წლები შესწირა
რომელიც ტიტანიური
ტანჯვით სამშობლოს შესძინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასახლის ბაღში მჯდომარემ
ერთ ხანს სათვალე ამშრალა.
მერე ის შუქთამთოვარე
სამეფო წიგნი გაშალა...

ნეტავი იმას რა მოჰკლავს,
ნეტავი იმას რა უჭირს,
„ჩემს პეტრეს ანუ ივანეს!“ —
ვისაც მაგ წიგნზე წაუწერს.

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

როგორც მწვრთნელი შიშითა და ძრწოლით
შორიახლო ლომს მიჰყვება ბებერს,
რუსთაველზე მოჰყვებოდა ცოლი
საქართველოს პოეტების მეფეს.
სტუდენტებმა მოიხადეს ქუდი
და ღიმილი მგოსანს მიაგებეს.
ლუდხანაში ჩამოუსხეს ლუდი
საქართველოს პოეტების მეფეს.
ერთი ჭიქით, ერთი ჭიქით მთვრალი
ჰყვება: „სისხლით ქრისტესავით მღებეს!“
მთაწმინდისკენ გაუშტერდა თვალი
საქართველოს პოეტების მეფეს.
აწ პარნასი გულში იკრავს სევდით
ბილიკების შეუშიშარ მძებნელს —
სძინავს ბაღში სწორუპოვართ გვერდით
საქართველოს პოეტების მეფეს.

1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

— ჩამოჰკარი ჩანგს! ჩამოჰკარი ჩანგს!
  არის ჩანგების ზრიალი ხოროდ —
რა, რა სჭირდება ახლა ქართველ ხალხს,
  ოჰ, ჩანგო ჩემო, შენ უწყი მხოლოდ! —
ასე გაჰმღერდა მშობლიურ მთა-ბარს,
  ასეთი იყო მეფე და ბავშვი,
აფრიალებდა ცად ლომის ფაფარს
  და მოჰღრეცოდა ჭაღარა ქარში...
აწ აღარ მოდის ოცნების ბაღში
  მკერდბუმბერაზი მგოსნების მახვში,
მაგრამ სიმღერა ლურჯი და ურჩი
  ისევ და ისევ წკრიალებს ყურში:
— ჩამოჰკარი ჩანგს! ჩამოჰკარი ჩანგს! —
  სხვათა ჩანგები ზრიალებს ხოროდ —
რა, რა სჭირდება ახლა ქართველ ხალხს,
  ოჰ, ჩანგო ჩემო, შენ უწყი მხოლოდ!

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

იქ ირჩეოდა
    რომელიღაც პოეტის ბწკარი,
უთანხმოებამ
    და კამათმა როცა იფეთქა,
გალაკტიონმა
    შემოაღო ანაზდად კარი
და ხაზგასმული
    მოწიწებით, მახსოვს, იკითხა:

„ოჰ, კრება გაქვთ
პოეტებს, ძამიკო?!“

ვიღაც წამოდგა,
    იქვე, კართან, ფეხქვეშ გაეგო,
აუხსნა რაღაც,
    მან დასტოვა ღიმილის ხურდა.
თავისი დიდი,
    რკინის ხელი სულში ჩაგვიყო
და გაგვეცალა —
    მას უბრალოდ ხუმრობა სურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინის ტიხარში
    მალე მაღალ პოეტის ლანდი
მსვლელობა მისი
    დიდებული და ბაღი დაჩნდა:
ბაღში მჯდომისთვის
    ტიხარს აქეთ ბინდბუნდად ვჩანდით,
სასახლის ბაღში
    ცისფერ მერხზე ის მარტო დაჯდა.

გარეჯიბეში
    სავარცხელი მოჩხრიკა ცერით,
უცხო ხილვები
    გამოიხმო საყვარელ ბაღში,
დაახლოებით
    ასე, ოც წუთს ივარცხნა წვერი,
მერე ადგა და
    კმაყოფილმა გასწია სახლში...

1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

„ლექსის მწერალი ხშირდება
  სამწუხაროა რაიც!
რამდენი რამე სჭირდება
  პოეტს, ჩვენს დროში მაინც!“ —
ეს კონსტანტინემ, იძრო რა
  შაბათს, მწერლების ბაღში,
მგოსნებისაკენ ისროლა
  განხეთქილების ვაშლი.
დიდოსტატები სწყალობდნენ
  ბაღს, და აქ ისხდნენ ხშირად,
სუროში შაშვი გალობდა,
  რაღა თქმა უნდა, ფრთხილად.
სთქვა ბესო ჟღენტმაც: „მრავლდება
  დღეს ლექსის მოწადინე,
ცამდის მართალი ბრძანდება
  ბატონი კონსტანტინე“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდვილი ვაშლი გაგორდა
  და, უკვე წასწვდნენ რადგან,
მათ დემნა მიუახლოვდა,
  ასე, ორ მეტრში დადგა.
ირაკლიმ ხელი ჩაჰკიდა
  ბაღის ბოლოში სიმონს,
გოგლა ხიდს მოდგა გაღმიდან,
  შემოუერთდა იმ ორს,
მესამე რანგიც მოხროვდა,
  მეორე რანგის გარდა,
და დიალოგზე მოგროვდა
  გამსახურდიას სკამთან.
„ლექსის მწერალი ხშირდება,
  ლექსი კი არ ჩანს მაინც!
რამდენი რამე სჭირდება
  ნამდვილ პოეტს და რაინდს!“ —
საკითხი განსახილველად
  და ვაშლი ცხვირწინ ედოთ,
და სთქვა ირაკლიმ პირველმა,
  ეს გახლდათ მისი კრედო:
„პოეტი წლობით ღვინდება,
  მართლა პოეტი თუა!
პოეტს იღბალი სჭირდება
  და, რა თქმა უნდა, ჭკუა!
სიმხნე და გამჭრიახობა,
  ფხიზლად განჭვრეტა დროთა!
სიბრძნე და პატრიარქობა —
  ამას გვასწავლის შოთაც!“ —
არ დაეთანხმა ირაკლის
  და იუარა გოგლამ,
„სად სიყრმე ყირაყირა ჰქრის,
  იქ სიბრძნემ ლექსი მოკლა!
პოეტს ჯერ სიმხნე სჭირდება,
  მყვირალობა და ბუკი!
ლექსს ვინც მისცაო დიდება
  გარეშე სიჭაბუკის!“

K 211.692
3

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონმა გოგლას ღიმილი
ჰკადრა და მოჰყვა სწრაფად:
„პოეტს სჭირდება ტკივილი!
პოეტს სჭირდება ჯაფა!
სჭირდება ვრცელი გზაშარა,
ბევრი წვა, ბევრი ფიქრი,
ინტელექტი და განსწავლა,
მწიგნობრობა და წიგნი!“
სუროში შაშვმა დასტვინა,
მზე შუბისტარზე იდგა,
ვრცლად აღარავინ არ ცდილა,
მოკლედ მრავალი ითქვა.
თან კვერს უკრავდნენ ირაკლის,
თან თაკილობდნენ თმობას —
მუხრანმა: „გრძნობა სიახლის!“
გრიგოლმა: „ფორმის გრძნობა!“
ალიომ: „მხოლოდ იდეა!“
(კოლაუ იდგა განზე...)
კარლომ თქვა: „საქმე ჰკიდია
წერასთან ერთად ფხაზე!“
სთქვა მარგიანმა: „მარილი
მთავარიაო სვანში!“
სთქვა ნონეშვილმა: „ყვარელი
და სტუდენტობის ტაში!“
თავისთვის იჯდა ჩრდილში,
არას იტყოდა ანა...
„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“
გალაკტიონმა ბრძანა.

1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

სადაც დგანან პოეტები,
იგი მარად იქ იდგა.
ის მოვიდა, (ალბათ, ციდან!)
და, ვინ ვართო, იკითხა...

პოეტები გვერქვა ყველას,
კაცი პასუხს ელოდა —
ზოგი „დელას“, ზოგი „რერას“,
ზოგი „ჩელას“ მღეროდა.

ვერაკაცმა ვერ გაიგო,
ან შეკითხვა რა იყო,
ან პასუხად რას ითხოვდა,
და ხმა არვინ გაიღო.

და თვითონვე სთქვა ამაყად:
„ჩვენ ვართ სისხლის მთხეველი,
სიკვდილითა სიკვდილისა
მთრგუნველი და მძლეველი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ასში ერთი მიხვდა,
ბერიკაცმა რა უთხრა —
ოთხი-ხუთი ახალგაზრდა
უმალ გვერდში დაუდგა.

და შებრუნდნენ, დაჰკრა თავსხმამ,
ქარნი წამოიტოტნენ,
მიდიოდნენ, ფერად ქარში,
წარბშეკრულად ვიდოდნენ.

გრიგალები ავდებოდნენ,
ზღვები ზეცას სწვდებოდნენ;
კი არ — პატარავდებოდნენ,
კი არ — ფერმკრთალდებოდნენ,

მყუდრო ნაპირს სცილდებოდნენ,
ცას სცნობდნენ და ზღვას გრძნობდნენ,
უფრო მეტად დიდდებოდნენ,
გზაში ჩანგებს აწყობდნენ...

იქ კი, ნაცნობ ჩეროდან და
ნაცნობ „ბულბულ-მდელოდან“
ზოგი „დელას“, ზოგი „რერას“,
ზოგი „ჩელას“ მღეროდა —

ფოთოლი არ შრიალებდა,
კაცის გული სხვას ძგერდა —
პოეტების დროშის ფრიალს
თვალი შურით გასცქერდა.

1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



†

მოვარდნილი მეყვსეულად,
უცბად წაჭერილი ყელში,
მიყვარს, მიყვარს ზეზეულად
წუთში დაწერილი ლექსი.

იყო კაცი, — ჩვენოდენი
ჭკუა ჰქონდა იმას ნეკში, —
იმას ოთხმოცობით ჰქონდა
წუთში დაწერილი ლექსი.

არც ტომრით მაქვს და არც ბოღჩით, —
ისე — კი მაქვს ხუთი-ექვსი...
ღმერთმა ათასობით მოგცეთ
წუთში დაწერილი ლექსი.

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

გალაკტიონი როგორც იტყვის, —
  დაელოცოს ენა-პირი,
არყოფილი იყო თითქმის,
  სიზმარი იყო ყველაფერი...

იყო ბურუსების ტბაში
  გზა ვარდისფრად შენაფერი,
იყო რაღაც ცხადის მსგავსი, —
  სიზმარი იყო ყველაფერი...

მოდიოდი, მურმან, რისთვის?!
  არსით ჩანდა შენაპირი...
სიზმარი იყო, სიზმარი იყო,
  სიზმარი იყო ყველაფერი!

1981

გალაკტიონ ტაბიძე და ვაჟა-ფშაველას მეუღლე თამარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

კაცი სხვის რითმებს წვრთნის, —
  სახავს უწყინარ ლაღობად,
გალაკტიონი თვლის
  ჯიბეში ხელის ჩაყოფად.

წერს: „რა ხდებაო ეს?!“
  წუხს: „ჯოგის ხელში ცვდება —
სადაც ჩავხედე ლექსს,
  სულ ჩემი რითმა მხვდება!“

წერს: „რითმაც უთაქია,
  რიტმებსაც ჩემსას ავლენს, —
იცოცხლე, უთარგმნია
  ბლოკი მშვენიერად პავლეს!“

„მართალი გახლავს ზოგი,
  ვინც ქართულ თარგმანს აქებს,
კი, ნაღდად იგებს ბლოკი,
  ოღონდ — პავლია აგებს!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქურდობს დღისით და მზისით,
  ძარცვაში ტოლი არ ჰყავს,
ქარგავს რითმებით სხვისით,
  სხვისი რიტმებით ჩარხავს...“

და იქვე დასძენს: „სხვაა,
  და არც არავის არ ჰგავს,
გალაკტიონი — ზღვაა,
  ამით არაფერს ჰკარგავს...“

კაცი სხვის რითმებს წვრთნის, —
  სახავს უწყინარ ლაღობად, —
გალაკტიონი თვლის
  ჯიბეში ხელის ჩაყოფად.

1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდად დარჩეს!

გალაკტიონი
ტიციანთან ყოფილა უბრად,
ტიციანს
თავის პოეტებში ჰქონია სუფრა,
და იჯდა თურმე
ჩვენი დენდი საერთო ჯამთან —
უხორცო იყო,
ცოტას სვამდა და ცოტას ჭამდა,
გალაკტიონი
შემოსულა დუქანში ამ დროს,
მარტო დამჯდარა,
მარტოსული, და უსვამს მარტოს:
არ მიუხმია
ის ტიციანს, არა და არა,
და ასე უბრად,
უხერხულად კარგა ხანს მსხდარან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცებ... (მახლობლად
პურს ნაჭამა რეგვნების ჯგუფი)
გალაკტიონთან
ერთ-ერთ რეგვენს მოსვლია ჩხუბი;
პოეტი მეფე
ვერც მიმხვდარა რატომ და რისთვის, —
უკადრებია
რეგვენს სიტყვა რეგვნული მისთვის...
აჰფეთქებია
აქ ტიციანს უეცრად დენთი,
წამოვარდნილა
ჩვენი ლორდი და ჩვენი დენდი,
დაუდგამს ჭიქა,
შეუხსნია კისერზე ბანტი
და უხეთქია
რეგვნულ შუბლში რეგვნისთვის კვარტი.
და დარეევიან
პოეტები ერთპირად რეგვნებს
და ჭახაჭუხი
შესდგომიათ ბოთლებს და ნეკნებს;
და როცა ჩვენი
ლომკაცები ბრძოლით დამძღარან,
დაუფრენიათ
თხებივით და ომი დამცხრალა,
„ტიტე, ძამიკო!“
შეშლილივით აყვირებულა
გალაკტიონი
და ორთავე ატირებულა...
ორპირის ფშანზე
გაზრდილ ბიჭებს უეცრად გული
ამოსჯდომიათ,
ხვევნა-კოცნა შექნილა ძმური:
გადმოსცვენია
შვების ცრემლი ტიციანს მისით.
რაც ექნებოდათ
სამდურავი, იციან, ვიცით!
დიდი ბავშვები!
ამდგარან და დამსხდარან ერთად
და პოეზია
უთქვამთ პირველ საერთო ღმერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაოლოს გარდა
ამ საქმეში ყოფილა გოგლა,
ყოფილა სმა და
გადარევა ყოფილა ოხრად.
ეს ყველაფერი
მე მიამბო „არაგვში“ გალამ
და, თუ ვუმატებ,
ანუ ვაკლებ, ან რამეს ვმალავ,
არამი იყოს
ის წარწერა: „სულით და გულით!“
იქ, იმ სარდაფში
მიღებული ღვინო და პური!
გული გულს იცნობს
ღონე ღონეს, მარჯვენი მარჯვენს...
ლეგენდად დარჩეს,
მეგობრებო, ლეგენდად დარჩეს!

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ფერადები მოჰქრის ჭრელი,
სასახლეში მოგდის შელლი...
შენ — საიდან, შენ — საიდან
ჩემი ბოტიჩელი?!

ზარი — მიქელ ანჯელოსი...
მკლავი — გაჰყავ სახელოში,
„აქ ჩამოვსხდეთ, — ეუბნები, —
აგერ, ამ ჩეროში...“

ბაღში შადრევანი ნიმფით!
უძღვი მარმარილოს კიბით —
ვარდი უჩანს, ვარდი უჩანს
მოცარტს გულის ჯიბით.

მოვა გენიოსთა ხროვა, —
ხვდები სტუმრებს წყვილი შანდლით;
ვინ არ მოვა, ვინ არ მოვა
შენი ღვინის ხათრით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლოკთან რაფაელიც გყავდეს!
გყავდეს, რამდენიც კი გწამდეს!
შენ არავინ გეცილება
ვან-დეიკის ლანდებს!

მე ვგონებდი, რომ იცოდა
მარტო ჩემი ქოხის კარი,
ახლა შენს ბაღშიაც ვხედავ —
გული მომიკალი...

სასახლეში მოგდის შელლი,
რუსთაველიც მოგდის შენი —
შენ რად, შენ რად, გალაკტიონ,
ჩემი ბოტიჩელი?!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

მთელი ღამე თოვლი თოვდა
(წუხელ ღვინომ გაწყინა...)
შინ შემოსვლას თრთოლვით გთხოვდა,
თოვდა, არ დაგაძინა.

ვიღაც თოვლში დადიოდა,
მთელი ღამე ჩიოდა —
არ შიოდა, არ სციოდა,
ოღონდ... გული სტკიოდა.

უცბად, კუბო გააჩერეს,
შორს ვარსკვლავი ნათობდა,
მიწა გაჭრეს, დაგასვენეს —
გულზე თოვლი გათოვდა.

მთელი ღამე წრიალებდი,
კოშმარებში ბრუნავდი,
მიდიოდი, მძვინვარებდი,
საუკუნეს ხურავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სად ვიყავ?! გულის რეჩხით
  კარი ფრთხილად გამეღო,
„ოჰ, — გეთქვა შენ, — ცეცხლი, ცეცხლი!
  ვინ ხარ? წყალი, ძამიკო!“

შენს საწოლთან გავმჩდარიყავ
  რას, რას წუხდი, გამეგო,
ან უბრალოდ დავმდგარიყავ,
  შენს წინ თავი ჩამეღო...

მთელი ღამე თოვლი თოვდა
  (ქვეყნის შხამმა გაწყინა!)
შინ შემოსვლას თრთოლვით გთხოვდა,
  თოვდა, არ დაგაძინა;

მთელი ღამე ზარებს რეკდი,
  რკინებს გრეხდი გამწყარალი...
დილით ვერის ხიდზე შემხვდი —
  ცივი, მკაცრი, დამცხრალი.

მიდიოდი, მიიძვროდი
  ჭყაპით, მარტის ამინდით,
მიდიოდი, — ვინ იცოდა:
  რიგში ტყვიით ცამეტით!

ახლოს იყო — შეგინება
  ეჰეჰეის ბღავილი,
სართულების შეკივლება,
  სისხლიანი ყვავილი.

1976

ღ ა მ ი ს თ ე ვ ა

(19 მ ა რ ტ ი, 1959)

ათასი ჯურის
უნიჭობა იბრძვის, ფაფხურობს,
ასფალტებს ცვეთავს,
შენ კი მანდ წევხარ,
მაგ ჭურჭელში, ხუფი გახურავს,
ყინული გწვეთავს.

შუაღამეა.
გაიკრიბნენ მაღალნი გვამნი
მელნის ხელობის:
ღამეს გითევენ
უმრწემესნი ძმათგან სამნი
ჩვენი მწერლობის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამომდგარია
კრეისერი ლურჯი მთაწმინდის —
მიდიხარ, მიხვალ!
ჩვენ აქეთ ვრჩებით,
შენი გზა კი ციდან ცას მიდის —
ცოტაც და, შინ ხარ...

ათასი ვინმე
მელნისაგან ადედებს დურბელს,
სამსალას ლესავს...
შენ კი მანდ წევხარ,
ხვალ გაჰყვები იისფერ ღრუბელს,
გზაშარას შენსას.

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.

ალმართ-ალმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი — მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

ალბათ, შუბლიც სტკიოდა — მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.

რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი —
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.

დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა, — მისი ჟინი მართავდა...

ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცბად შავმოვლებული შეჩოჩქოლდნენ დროშები,
უცბად, მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები:

კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.
„რა ჰქნა?!“ — უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა?!“ — ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა. —
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭაღარა...

სდუმდნენ დიდოსტატები, იდგნენ მხრების კანკალით,
დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.

წინ გვიძღოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,
მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი.

იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,
იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგი.

ალაგ სამარხ მიწაში იყო მარტის ამინდით
ტალახში აზელილი უძველესი კრამიტი.

რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა,

ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,
ვინც მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა!

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

მინახავს ასე: ნამდვილი მკვლელი
ძვირფას კუბოსთან იდგა თვალსველი,
არ ჰყავდა პირში სიმართლის მთქმელი
და ჩურჩულებდნენ:
„ვინ ჰყავს დამშლელი!“

არა იმისთვის ვწუხ წინწინ სიკვდილს,
რომ მოყვასს, თვისტომს, ხალხს დაატყდება,
არამედ მისთვის — პირველი მტერი
რომ ჭირისუფლად
თავს დაგადგება!

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

კორდს მიჰყვება ქარდაქარ კორდი ჭრელი ვერხვებით.
ჩემიც ჰკივის ხანდახან ჩანგი ერთი შეხებით.

მახსოვს მუნჯი ველები, მახსოვს ჩანგი ზღაპრული:
მოხუცს ლურჯი ვენები ჰქონდა ჩანგზე გაბმული.

ზღაპარ-იყო, ზღაპარ-იყო, სმენად იდგა მთა-ბარი —
ის ვენები დამწყდარიყო, ჩამქრალიყო ლამპარი.

მიველ ვნახე, კაცივით იმ ჩანგს სისხლი სდიოდა:
წამოფრინდა არწივად — ჭანგში ჩანგი ჰკიოდა...

კორდს მიჰყვება ქარდაქარ კორდი ჭრელი ვერხვებით...
ჩემიც ჰკივის ხანდახან ჩანგი ერთი შეხებით.

1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა



†

რომ მოესაჯათ, —
ვეკითხები პოეტებს ამას, —
ჩვენთვის ათ-ათი,
ან ოც-ოცი, თუ გნებავთ, წელი...
ახლა არ მითხრათ,
რომ ვთამაშობ აბსურდულ თამაშს,
რომ ოცის მიმსჯელს
პოეტებთან არა აქვს ხელი!
რომ მოესაჯათ —
ვთქვათ! სიტყვაზე! დავუშვათ წუთით!
რომ მოესაჯათ —
და რომ ეთქვათ: „საკნებში ჩადით!
(ხუთით — სახოტბო ხალტურისთვის!
ლაკისთვის — ხუთით!
სულ მუდამ თავის კანტურისთვის —
უკლებლივ ათით!“),
რომ დავესაჯეთ,
თან საკანში შეტანის, მკაცრად,
ნებისმიერის
თითო წიგნის მოეცათ ნება,
რათა გვეკითხა
და ყოველლამ ბეტონის ნაცვლად
ჩვარში გახვეულ
იმ წიგნებზე დაგვედო კეფა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც, რომელ წიგნს
ავირჩევდით, — ცა გაცნაურდეს?!
მაინც, რომელ წიგნს —
იწონიდეს ის წიგნი ტომებს?!
რომ გადაშალო
საკანში და — ზღვა ახმაურდეს?!
მაინც, რომელ წიგნს,
თუ კაცი ხარ, თუ ძმა ხარ, რომელს?!
აქ არ არსებობს,
მე მგონია, მეორე აზრი —
ცხრაას ოცდაშვიდს
გამოცემულს! უბრალო ყდაში!
თვალები — ორბის,
შუბლი — პრინცის, ხაზები — ბასრი,
ჯეკ ლონდონივით
შუქი გაგდის მარმარის ყბაში!..
„მერი“, „პროლოგი 100 ლექსის“,
„შინდისის ჭადრებს“,
„ლურჯა ცხენები“,
„მე და ღამე“, „დროშები ჩქარა!“
„იცვალნენ დრონი!“,
„ეფემერა“ „ავანთებ კანდელს!“ —
„უცნაურ ბინდში
გუთნეული მიჰყვება ჭალას“...

ოჰ, გალაკტიონ!
ზღვებს, სივრცეებს, ქარიშხლებს იტევს —
ციხეში არ ვარ —
შენი წიგნი სასთუმლად მიდევს!
დავხედავ პორტრეტს,
შუბლს პრინცისას, მოცარტის თითებს,
გადავშლი წიგნს და
ყურს მივუგდებ სამოთხის ჩიტებს.

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

ხალხს, სწორუპოვარ
  პოეზიის ძველთაგან პატრონს,
ისეც ჩრდილში მყოფს
  მსოფლიოში თავის სიმცირით,
ხომ შეუძლია,
  სხვა ათასი კიდეც რომ დათმოს,
ამ ერთის გამო —
  პირში უთხრას ხალხებს სიცილით:

„არა ერთი და ორი,
  არა ორი და სამი,
მახსოვს ვარსკვლავი შორი
  და განათების წამი!“

დეკემბრის მწუხრი ეუფლება ქოხს,
კედელზე ჩრდილებს ხატავს ლამპარი,
ჭაბუკი ვინმე ეუბნება ბლოკს:
„ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი!“

1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

პუშკინმა სკვერი არჩია,
ლერმონტოვს ჰკლავენ ტრამალში,
სიკვდილისაკენ გასწია
ლორდ ბაირონმა ლამანშით.
პეტეფიც მაგათ მხარშია,
ისიც ქარშია ფრთამალში,
გვწამს ფედერიკო გარსია —
უხორცოსავით მამაცი!
ვთქვათ, ტრაგედია არც კია:
თავგაყოფილი დრამაში,
ვახსენოთ, ხარჯი — ხარჯია,
ესენინ, ბიჭი ლამაზი!
პოეტი — სხვაგან ასია,
საქართველოში — სამასი,
გალაკტიონი თავშია,
რაღა თქმა უნდა, ამაშიც...
დიდი პოეტი მსგავსია
და ყველა ერთი მთავარში:
სუყველა — დიდი ბავშვია,
უყვარს სიკვდილთან თამაში!

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი პოეტი
ჩვენ დროდადრო ასეთიც ვიცით!

ის ქართლს შეჰხარის,
    მის მოწყენილ მშვენიერებას:
გზას ტირძნისისკენ,
    კლდეს კასპისას, მეტეხის პურებს;
გრძნობს მათის ჭვრეტით
    უზენაეს ბედნიერებას,
ელაციცება
    მისი თვალი გლეხკაცს და ურემს.

ის არ სვამს კითხვას!
    არ პასუხობს არვისგან დასმულს!
მას, დაღლილს ბრძოლით
    და მსოფლიო ნგრევათა ელდით,
სიმშვიდე მხოლოდ!
    არაფერი სხვა მეტი არ სურს —
დანთქმული არის
    ის ამჯერად სამშობლოს ჭვრეტით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზები, მინდვრები,
ფეხადგმული ძნები ახარებს,
ის ქართლს შეჰხარის —
ყურძნის ტბებს და მიწისას ნაყოფს;
„ავჭალის იქით“,
„გავსცდით ხანდაკს“, „ზვრები გრაკალის“,
ის ქალი ისევ
„მწუხარებით მიჰყვება ახოს...“

როგორ! ეს არის?!
სულ ეს არის ხატი პოეტის?!
რა იქნა გმირი,
მომავალი ნაბიჯით მტკიცით?!
ერთ გუნებაზე
ვერ იქნები კაცი ყოველთვის!
დიდი პოეტი
ჩვენ დროდადრო ასეთიც ვიცით!

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

†

მოგონებები მახრჩობს,
გულით ხანჯლები დამაქვს.
ყველას თავისი ახსოვს,
ყველას თავისი შხამავს.

მახსოვს მუშამბა ჭრელი,
მახსოვს მაგიდა დახლთან —
მახსოვს დუქანი ძველი
ჯორჯიაშვილის ბაღთან.

ჭიქას შეახო ტორი,
თვალი გადმომკრა იჭვით
კაცმა — რუსთველის ტოლი
თავზარდამცემი ნიჭით.

ომი, შიმშილი, ლპობა,
ირგვლივ სარდაფის ჯანღი,
უმარტივესი ყოფა,
უმარტივესი ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულით ვეტყოდი „მამას“,
მეტყოდა: „ძმას“ და „შვილოს“,
ვჭამდით პლებეურ ქაბაბს,
ვსვამდით საერო ღვინოს.

ოჰ, ის დუქანი გაქრა.
სხვები მოშენდა ჭარბად,
ვერ მიმიგნია ახლა —
სიზმარი იყო, ალბათ.

მოვიშხამები ოდეს,
თვითონ მოვიჩხრეკ ჯიბეს,
ჩემსას მოვძებნი ლოთებს —
სადმე ჩავყვები კიბეს.

გატანილია ლელო —
ლურჯ სივრცეებში დახვალ.
მოგონებაო, მკვლელო,
ჩემი პირველი ძმა ხარ!

თბილისს, პარიზს თუ ბერლინს
ერთი ტკივილი შხამავს...
„ხშირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დაღუპულ მამას“.

1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

იყო ტიციან და იყო გოგლა —
გვაქვს კარატები ამ საუკუნით,
მაგრამ სხვა იყო ტიტანის ოხვრა —
წელებგადმოყრილ ლომის ბუხუნი.
იყო ის წვა და სისხლისგან დაცლა,
ბედნიერებას ასე ჰპოვებდა.
თოთხმეტი ჰქონდა შიგ გულში დაშნა —
სისხლის გუბეებს გზაზე სტოვებდა.
აწ — სინანული არავითარი!
ცა — გულუბრყვილო და მოწმენდილი!
გმადლობ, თავს მადგას იგი ტიტანი,
შენი საჭრეთლით გამოკვეთილი!
წამოდი, სადმე მოვძებნოთ ბაღი,
ანუ თუ სადმე პროსპექტი არი.
დიდ პარაკლისზე შევყაროთ ხალხი
და ცას შევუდგათ ოცმეტრიანი!

1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

ოციან წლების მძაფრი სურნელი
სდის გაყვითლებულს ბიისფრად ფოტოს.
იყო და არის ყოვლის მკურნალი —
დრო ჩამოსაყრელს ჩამოჰყრის ფოთოლს.
მე, რა თქმა უნდა, ვიყავი ბავშვი.
მამებს გარდახდათ ბრძოლები ძნელი:
გამოფენილა სასახლის ბაღში
ქართულ მწერლობის ოჯახი ჭრელი.
თვითონ პოეტი — ალყით ძლეულა,
გარშემორტყმულა... ძმებით და მტრებით —
ვაი სირცხვილო, სად მიმწყვდეულა,
ვინც საუკუნე ასწია, მხრებით!..
ოციან წლების მძაფრი სურნელი
სდის გახუნებულს ბიისფრად ფოტოს.
<დრო ჰქრის და, დროა ყოვლის მკურნალი,
დრო ჩამოსაყრელს ჩამოჰყრის ფოთოლს.>

1971

ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ: პირველ რიგში — ნიკო შიუკაშვილი, მის უკან და გვერდით — გიორგი ლეონიძე და ტიციან ტაბიძე, ლეონიძის უკან — სახე მოჩანს გალაკტიონის. აქვე, წინა რიგში დგანან — ვალერიან გუნია და ნიკოლო მიწიშვილი, ამათ უკან და მარჯვნივ, მეორე რიგში — რაჟდენ გვეტაძე და ვახტანგ კოტეტიშვილი, ცენტრში, წინა პლანზე — შალვა დადიანი და პაოლო იაშვილი, პაოლოს მარჯვნივ და უკან — ალექსანდრე აბაშელი, პაოლოს მარჯვნივ — შალვა კარმელი, ლავროსი ძიძიგური და კონსტანტინე გამსახურდია, გამსახურდიას უკან — დუტუ მეგრელი.

აქ გახლავთ ოციანი წლების ქართული მწერლობა, ზოგი მათგანი ამოსაცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



†

(ი უ მ ო რ ე ს კ ა)

„პარაბელუმთან“
ძველი „ტეტეც“ უჯრაში გდია —
რომ აიღო და,
ვთქვათ, რომ შუბლში იხალო ტყვია,

ან, უხმაუროდ,
ჰიგიენის, ეთიკის დაცვით,
ცოლს დახვდე
ჭერში დაკიდული, ქათქათა საცვლით...

ან კიდევ არის
გზა მესამე — კარგად დაპურდე,
მაჩაბელივით
გახვიდე და აღარ დაბრუნდე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შენ გეტყვი და,
    შენი ადლით გაგზომავს ვინმე,
ან, თუ გაგზომა,
    დაგიმადლის კაცობას ვინმე!

და ამიტომაც:
    სვი და ჭამე, ახარე გული!
ცხოვრებას მიჰყე —
    როგორც ყრიან, დაყარე ფული!

იოლად წერე!
    დატეხილი სტრიქონი თვალე —
ნუ გინდა „ლილე“,
    შემოსძახე მსუბუქი „ლალე“...

ლა-ა-ლე! ლა-ა-ლე!
დღეს თუ არა, ხვალე
შენთან, შენთან, გალაკტიონ!
შენთან მოვალ მალე!

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

†

უყურძნო მთის რაჭა მესამე რაჭაა,
ენკენისთვეა და ჩამოთოვს საცაა,

აქეთ — უწერაა, იქ კიდევ — შოვია.
შოდაზე კიდევაც ჩამოუთოვია.

მამაღმერთს სილამაზე პირქუშად ჰყვარებია:
ლამაზი ხარო და — მთის რაჭა... ღარიბია.

ქერზე და კარტოფილზე გადივლის იოლად
გლოლა და საგლოვლო, ღები და ჭიორა.

მაგრამ აქ სიცისფრეა, სხვა მზეა, სხვა ცაა —
მესამე რაჭაა, მესამე რაჭაა.

ჭრილობა გაუგრილეს რკინით დაშანთული, —
აქ პოეტს — ფარაონს გაუწყვეს ფანჩატური.

აქ „ნიკორწმინდისას“ პეონებს კიბავდა
გალაკტიონი და აბრეშუმს თიბავდა...

1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

†

„როდესაც ჰოეტი მავნე ჰოეტია,
ამაოდ ჰგონებენ, რომ ის გოეთეა,
ვაიმარს გაჰგზავნო ავიოკალათით, —
ვირზე ჩამობრუნდეს ხახვით და სალათით“.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

რაზმი ნამდვილი პოეტების (სულ ერთი მუჭა!) —
თითები რომ გვაქვს, იმ თითებზე მეტი არც არის!..
ზედ მისეოდა გალაკტიონს ხუთასი ჯუჯა,
სისხლს, სისხლს უშრობდა ჩვენს გულივერს
ათასი „პაცანი“...

მაგრამ რა, მერე?! — ბრძოლა მათი ჩავლილი ფუჭად!
ელავს, ბრიალებს ეპიგრამა, როგორც ხანძარი...
სრბოლას — გრაგანით განაგრძობენ ცხენები ლურჯა,
მხედრისგან სილაქს —
ათასწლეულებში გააქვს ლაწანი!

1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი გალაკტიონ ტაბიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახატი გალაკტიონ ტაბიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მკვდრები

არდავიწყების
    მწვანე კონცხთან ამოდის გემი
ზღვის უფსკრულიდან;
    მისცემიან გემბანზე ფიქრებს.
მიცვალებულებს —
    ალამაზებს ოცნება ჩემი —
ბევრი მათგანი
    ქუდს მიხდის და
        ცხვირსახოცს მიქნევს.

აკაკი მოკვდა,
    მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს,
გალაკტიონმა,
    ვიცით, თვითონ გაშალა ფრთები.
ფასშეუვალი
    და მწუხარე ხომალდი მოჰქრის,
მოჰქრის ხომალდი
    დახუნძლული
        ძვირფასი მკვდრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ცოცხლები
ჩემს ნაპირზე, ჩემს გვერდით დგანან;
მგონია, ვდგავარ
ერთდროულად ძმებთან და მტრებთან;
ხელს ვართმევ ცოცხლებს,
მაგრამ მკვდრები სხვა ნისლში ჩანან
და კარგად ვიცი,
რომ საერთო მეტი მაქვს მკვდრებთან.

„წინ! ასწი თასი!
მოაშორე ჩვენს მსუბუქ ხომალდს!“ —
ვიღაც, დიდი და
იდუმალი, გაფრენას მირჩევს...
და გალურსული
ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
და საფრენად უძნელეს სივრცეს.

ხომ არ დაბერდა,
ხომ არ გაცვდა ჭურჭელი ხორცის,
რომ, რაც დრო გადის,
უხორცობის წყურვილით ვთვრები,
რომ მპირდებიან
სამუდამო ტაძარში ქორწილს
და მეძახიან,
მეძახიან მე ჩემი მკვდრები?!

რა არის წლები,
ეპოქები რა არის ხშირად, —
მოწამებრივი,
ხორციელი ცხოვრების შემდეგ
უსაზღვროების
თუ იქცევი წილად და შვილად
და წარიშლება
შენთვის ზღვარი
და სიტყვა „შესდექ!“

ჩუ, ეს ვინ გალობს?
მწვანე კონცხთან ფრიალებს აფრა —
კრთის და ფრთხიალებს
უთეთრესი ყვავილი ხსოვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ არა ერთის
    შარავანდი ბრიალებს ლამპრად,
იქ რუსთველია
    წინმდგომად და მეუფედ ყოვლის.

იქ, წინაპრებთან,
    ჩემი დროის შვილებიც ჩანან.
მკერდბუმბერაზი
    ეს ვინ დადგა მამების გვერდით?
ოჰ, რა ღირსებით,
    რა ლომური ჭაღარით დგანან
და რა ურყევნი
    ერთი მრწამსით და ერთი ხვედრით!

აკაკი მოკვდა,
    მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს,
გალაკტიონმა
    ცაში თვითონ გაშალა ფრთები.
ფასშეუვალი
    და მწუხარე ხომალდი მოჰქრის,
მოჰქრის ხომალდი
    დახუნძლული ძვირფასი მკვდრებით...

„მაშ, ასწი თასი!
    მოაშურე ჩვენს მსუბუქ ხომალდს!“ —
ვიღაც, დიდი და
    იდუმალი, გაფრენას მირჩევს...
და გალურსული
    ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
    და საფრენად უძნელეს სივრცეს.

1970



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ერთხელ
სულოდრის მხრიდან, ზემოთით...

კიდეც რომ იფიქრონ: პოეტმა აურია!
კიდეც რომ იფიქრონ: პოეტი გამოთვრა!
რაც ტვინში გაივლის, რასაც გაუვლია,
ჩემო გალაკტიონ,
დავუწყებ ჩამოთვლას:

. . .

სვირი, ბაღდათი, ვანი და ჩხარი,
მისდექ ვენახებს, სხალი და სხალი...
შათირიშვილის ეზოში მახსოვს
მწვანე, ბურთულა, კვაჭიჭა მსხალი.
იქვეა ჭყვიში, შუამთის ახლოს,
ალადასტურის... ჭიგოზე ბრჭყალი...
იქ ბიჭოია ტაბიძე სახლობს?
იქ ღვინო მისვამს და არა წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

დავითი იტყვის: „არათუ ჩაფით,
ალადასტური დაგიდგი ხაპით,
შენ ბიჭოია ტაბიძე გახსოვს,
შენ გამაცურე ოცი წლის ღლაპით.
ზიხარ და ლამბავ იწილ-ბიწილოს,
ჩმახავ და დახვალ მაინც ცოცხალი...
ცეცხლად შენ — დავით ტაბიძის ღვინო,
შხამად — წიწილი და ნიორ-წყალი!“

. . .

ხოლო სიმონი არაფერს იტყვის —
აღარ გვყავს, მთელი წელია თითქმის,
მის მოსაგონრად მუქ-მწვანე კვარტი
ყოველ საღამოს ტაბლაზე იდგმის,
ჩამორიგდება თხევადი კარტი —
(უკმაყოფილო აქ არ ვარ რითმის!)
გალაკტიონის სახელის გარდა,
იქ ტიციანის სახელიც ითქმის.

. . .

ბატონო სიმონ! გიმადლით დიდად,
თქვენ ორი ხსოვნა ატარეთ წმინდად!
თქვენ ტიციანის ძმა ხართ უმცროსი,
გალაკტიონი თავის ძმად გთვლიდათ!
თქვენც ტაბიძე ხართ, თქვენც ტაბიძე ხართ,
თქვენც ტაბიძე ხართ — მეტი რა გინდათ!
საგვარეულო... სასაფლაოზე...
იძინეთ მშვიდად! იძინეთ მშვიდად!

. . .

ცოცხალს ცოცხლისგან ბევრი მეწყინა,
ნაღალატევი ვიყავ მეტწილად...
მკვდრებს მივაშურე — დღე და მოსწრება
მაინც მეგობრის მწადდა შეძენა...
ვთქვი: საიმედო არიან მკვდრები —
მკვდრის სიყვარულშიც სხვა შემეცილა...
ვასილ ტაბიძის ჭერქვეშ ვიცხოვრე,
გალაკტიონის ტახტზე მეძინა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . .

ერთხელ, სულორის მხრიდან, ზემოთით,
მე ჭყვიშს მივადექ მცირე ჩემოდნით,
გამიღეს კარი, მითხრეს: „გელოდით!
დაგლამებიათ! გიცნობთ! შემოდით!!“
წამს შუაცეცხლი დავითმა ჩართო,
სახლმუზეუმი გიორგიმ მანდო...
გამიგეს ტახტი — მადლობელი ვარ —
წმინდა აჩრდილთან დამტოვეს მარტო.

. . .

ძილს მივეც თავი წუთით დაღლილმა,
უცბად დამზაფრა შენმა სახელმა —
„შვილო გალაკტიონ!“ — სამოცდაათი
წლის წინ ყმაწვილი ქვრივის ძახილმა.
გავხსენი თვალი: კერია სევდით
ბეუტავდა, მკაცრად დამცქერდა კედლით
ის, ღირსეული დედათა შორის,
ამაყი თვისი ტვირთით და ხვედრით.

. . .

გამოვიტანე წაბლის ჯორკო და
დავჯექ: აისი მზით მოოქროვდა.
მოგონებანი წარსულის შორის
და ზმანებათა სიტკბო მოგროვდა.
ორპირის ფშანზე ბავშვობა ორის
ორ უფლისწულად ჩემსკენ მორბოდა...
რიკულებ-შორის, რიკულებს-შორის,
შორს მეფის ჭალა ჩანდა ქობუდა.

. . .

დილით მოვიდნენ, სტუმარი მნახეს,
კაი განზრახვა უმკობდათ სახეს,
რაფრად მეძინა? — ალერსით მკითხეს,
კერია ჩართეს, ნიორი ნაყეს.
ქალებმა ტაბლა კერასთან მიდგეს,
ალადასტური კაცებმა აქეს...
ბაგეს ვახებდით შინდისფერ სითხეს,
გრძნობით ვამბობდით ერთურთის სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

კერიის ჯაჭვში მსტვინავი სტვინავს,
შუამთის თავზე ვარსკვლავი ბრწყინავს,
ხუთი ღამეა, არ არის ძილი,
ხუთი ღამეა, საშინლად მძინავს.
ამაოდ ვცდილობ შეხვედრას სიზმრად,
ორპირის ფშანი ოხრავს და ფშვინავს,
ხუთზე იწყება თენება ცისფრად,
ბწკლიანი ტოტი ეხება მინას.

. . .

დილით ხმა მესმის ჭალაში ყეფის,
ხმა მესმის ნიჩბის და ზვირთის ჩქეფის,
მეფის ჭალაში გავარდა თოფი, —
ექოდ მოვარდა ჯახანი რქების.
ვთქვი, თუ ვით ბედვენ მანდ ნადირობას,
როცა ეგ ჭალა — ჭალაა მეფის?!
ჭალაა ჩემი გალაკტიონის,
ჩემია ჭალა და ჩემი ძმების!!

. . .

მწადდა, მეცადა ძალა ხელახლა,
ერთხელ რიონიც გადამელახა
და მეფის ჭალა, ის მეფის ჭალა —
გალაკტიონის ჭალა მენახა.
მაგრამ ზვავობდა რიონი ავი,
ფშანზე გაზრდილი და მზისგან შავი
არც ბიჭოია ტაბიძე ჩანდა,
არც სანავეში მოხუცი ნავი.

. . .

შაბათ საღამოს გამოჩნდა გზაში
ნახევრად ბრძენი, ნახევრად ბავშვი,
ავკეცეთ ბადე, ჩავსხედით ნავში,
ჩემი ფიქრია კიჩოზე დავსვით
და მივაშურეთ დაისის ხანძარს,
ხანძარში ჩამდგარ ცაცხვებს და რცხილებს,
გალაკტიონის ბავშვობის ტაძარს,
გალაკტიონის ლანდებს და ჩრდილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ცოცხალს ცოცხლისგან ბევრი მეწყინა,
მკვდრებთან თანხმობა მქონდა მეტწილად,
მკვდრებს მივაშურე — მაინც მეგობრის,
მაინც მეგობრის მწადდა შეძენა.
ვთქვი — ულალატო არიან მკვდრები!
მკვდრის სიყვარულშიც ძმა შემეცილა...
ვასილ ტაბიძის ჭერქვეშ ვიცხოვრე,
გალაკტიონის ტახტზე მეძინა.

. . .

და მეთორმეტე საოცარ ღამეს
მესიზმრა იგი — მოსილი ნათლით:
თმაგაბურდული, შეშლილი ლამის,
ჩანგებს ზომავდა თავისი ადლით.
წკიპურტს გაჰკრავდა, რა გამოსცემდა
ხმას, ყურს უგდებდა, ჩანს, ამოწმებდა:
არ იყო ჩანგი, არ იყო ჩანგი,
ჩანგი, რომელიც მას აოცებდა...

. . .

და გადის წლები... ერთხელ ზემოთით,
სულორის მხრიდან, მცირე ჩემოდნით,
ჭყვიშს რომ მივადექ, არ მკითხეს: „ვინ ხარ?“
და რომ, პირიქით, მითხრეს: „შემოდით!“
არ მავიწყდება, არ მავიწყდება:
„დაგლამებიათ!“, „გიცნობთ!“, „გელოდით!“
მადლიერი ვარ! კადნიერი ვარ!
და ძლიერი ვარ საქართველოთი!

. . .

კიდეც რომ იფიქრონ: პოეტმა აურია!
კიდეც რომ იფიქრონ: პოეტი გამოთვრა!
რაც ტვინში გაივლის, რასაც გაუვლია
(შენგნით მისწავლია!),
დავუწყებ ჩამოთვლას.

1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გასწი, იალე
და იარე კელაპტრით ხელში!

სადღაც — კიპლინგი!
სადღაც — ბერნსი! სადღაც — კანდელით
გალაკტიონი — შორეული შენთვის ნათელი!
ლადო, ტიციან — მშობლიური და მახლობელი!
ბოლოს რუსთველი,
ქვეყნად ყოვლის დამამხობელი!..

ვინ გაქცევია ქვეყნად სიყვარულს!
ვით გაექცევი მხატვარი დიდებს!
და რომ ახალმა ნერგმა იყაროს,
წინამორბედი შორს სანთლებს გინთებს...

გასწი, იალე და იარე კელაპტრით ხელში,
რომ მოგაშურონ.
და შენკენაც ვიდოდნენ ბნელში!

1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი დღე გალაკტიონთან

— 1 —

„ათი დღე გალაკტიონთან“ — სათაური წინასწარ შერჩეული მქონდა მოგონებებისათვის, რომელთაც დღემდე განხორციელება არ ეწერათ. ლაპარაკია ქართული კულტურის დეკადაზე მოსკოვში, 1958 წლის ოცდაერთი მარტიდან თვის ბოლომდე. ეს ათი დღე გალაკტიონმა სასტუმრო „მოსკვას“ მეათე სართულზე გაატარა და მაღალმა ღმერთმა იმ ათი დღით მეც იმავე მეათე სართულზე, გალაკტიონის სიახლოვეს დამასახლა.

გალაკტიონის დაღუპვიდან ოცდათორმეტი წლის შემდეგ დაწერილი ეს მოგონებები პოეტის ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდის რეტროსპექტივას წარმოადგენს და, ვფიქრობ, საინტერესო შტრიხებს ჰმატებს დიდი პოეტის ადამიანურ პორტრეტს...

დეკადა. დღე პირველი: გალაკტიონი სასტუმროდან ქალაქში მიიჩქარის, მე — ქალაქიდან სასტუმროში ვბრუნდები. დიალოგს უტეუფრად, სიტყვასიტყვით აღვადგენ, ჩაწერილი მქონდა და დავკარგე:

— ბატონო გალაკტიონ, ბატონო გალაკტიონ, გამარჯობათ!

— ოჰ! გამარჯობა, ძამიკო, გამარჯობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ სასტუმრო „მოსკვას“ გააფთრებულ, ზამბარებიან ბზრიალა კარებში გავიჭედეთ და, გულმოსული საბჭოთა ხალხით გარშემორტყმულნი, სხაპასხუპით ვსაუბრობთ:

— რომელ სართულზე, ბატონო გალაკტიონ, რომელ სართულზე დაბინავდით?

— მეათეზე, ძამიკო, მეათეზე!

— მეც მეათეზე, ბატონო გალაკტიონ, რა კარგია, მეც მეათეზე!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! მნახე, ძამიკო, საჩუქარი მაქვს შენთვის...

— Проходите, товарищи, проходите! — გვიღრენს ხალხი...

მე სასტუმროს ვესტიბიულში ვრჩები, ის სასტუმროდან ქალაქში გადის. ვიტრაჟიდან თვალუურს ვადევნებ: იქვე, ტაქსის სადგომზე, მკვირცხლი ნაბიჯით ხალხს უახლოვდება, მოხდენილი, მოწიწებული მიხრამოხრით მანდილოსანს გამოელაპარაკა, ტაქსის რიგში ჩადგა და, რაღაცით კმაყოფილი, წვერს იფურჩქნის...

ღმერთო დიდებულო, რა საჩუქარი შეიძლება ჰქონდეს ამ კაცს ჩემთვის?!

დგას განუერელი ჰორტფელით ხელში, აქეთ-იქით იყურება, ზღვა სიმხნითა და ენერგიით სავსე... მოსკოვის დაპერობას და ჰოეტების დაშამათებას ჰოეზიით აპირებს... სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ კი მეოთხე სართულიდან ქვაფენილს ყიყინით დაენარცხება... არა, მე ხომ ვიცი მაგ ჰორტფელის შიგთავსი! ეგრეთ წოდებულ „სტოლიჩნი“ რედაქციებში მიაქვს სადეკადო ლექსები. ეშმაკივით ვიცი, კაი კაცის, მაგრამ საწყალი ბორის სერებრიაკოვის თარგმანები უწყვია შიგ და ახალი „ჰოდსტროჩნიკები“ კიდევ... მერედა, არის კი რუსეთში დღეს კაცი მაგისი ტოლი?! ძალუძს კი დღეს რუსეთში ვინმეს მაგისი თარგმნა?! გაუფუჭებენ წიგნს და „მაი აფერია“! — ჩაწერს დღიურში. რა აზრი აქვს, თუ ძმა ხარ, ათასი ესკიმოსის დონეზე გალაკტიონის თარგმნას?! ბლოკი რომ ცოცხალი იყოს, კიდევ ჰო! ჰასტერნაკი რომ ცისფერუანწელებს არ დაემარტოხელებიათ...

ვესტიბიულის საგალანტერეო კიოსკებში სიგარეტიც იყიდება და, რიგში რომ ჩავდექი, წინ, რამდენსამე მეტრზე, გამეიდველამდე მიღწეული ანა კალანდაძე დავინახე, სუნამოს ყიდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს და, რაკი ვერ მხედავს, მეც, მანძილის მომიზეზებით, თვალს ვარიდებ — ჯენტლმენობის თავი არა მაქვს, ჯერჯერობით ქესატად ვარ... აგერ მუხრანი და ოთარ ჭელიძეც... სულ მალე ჩვენ გავმდიდრდებით და ძვირფას დაიას რესტორანშიც გავნათლავთ...

მეორე სართულზე დეკადის შტაბი დაკეტილი დამხვდა. ღილაკს თითი დავაჭირე და ლიფტი დავიჭირე. შევდივარ ლიფტში და... კედელს ჩვენი ბებერი ლომი, შალვა დადიანი მიჰყუდებია, ბებერ ლომს — მკერდზე ოცი წლის ქერა ანგელოზი მიჰყრდნობია და, ქვემოდან ზემოთ, ჩაშაქრებულ ულვაშებში შეჰხარის...

ჩამიცინა ბატონმა შალვამ, ჩამიხვევლა და ლიფტიდან ორივენი მეშვიდე სართულზე გავიდნენ.

—2—

ქართული კულტურის დეკადაა მოსკოვში. თეატრი, კინო, მუსიკა, მწერლობა და, რა თქმა უნდა, ქართული ხალხური ქორეოგრაფია — აქ გახლავთ ოთხასი „ცხენოსნით". ჩვენ უნდა ვაამოთ მოსკოვს, თავი მოვიკატუნოთ და ვუმტკიცოთ ხრუშჩოვს, რომ აღარც კი გვახსოვს გუშინდელი სილაქე — სისხლიანი ცხრაას ორმოცდათექვსმეტი... დიდი აჟიოტაჟია მოსკოვში, უმთავრესად ჩვენი, თორემ სატახტო თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ათასი დიდი თუ ჰატარა შეშინებული ქვეყანა თავს მაგას აწონებს, ლასკალას ვარსკვლავები შინ მოსდის და „დედა რა ვნახეო" ამას შენზე ვერ ათქმევინებ...

სვეტებიან დარბაზში ქართული მწერლობის საღამოზე ვიერიბებით. ამ ღონისძიებით იხსნება დეკადა. ირაკლი აბაშიძე ბრძანდება ჩვენი შეფი. ლაღად, თავისუფლად უჭირავს თავი, შინაური კაცია სატახტოში. სალამი დაარიგა, სობოლევს მიესიეკარულა — დასხდნენ, საღამოს ჰროგრამას ჩასცქერიან. ვსხედვართ და ფარდის გახსნას ველოდებით...

არაფერი განსაკუთრებული არ მახსოვს. ეს იეო საღამო — შაბლონი: სობოლევის ზერელე, ზოგადი სეფე — სიტუვა, რამდენიმე ჩვენი ჰოეტის გამოსვლა ქართული ლექსის, ასე

ვოქვათ, ენობრივ-მუსიკალური ჯაშნიკით და რუსი პოეტების საპასუხო გამოსვლები იმავე ლექსების რუსული თარგმანებით... ერთადერთი, რაც იმ საღამოდან წამომეკვა, ეს იყო პავლე ანტოკოლსკის გულწრფელად მოწამებრივი გამომეტყველება გალაკტიონის ლექსის თარგმანის კითხვისას და თვითონ გალაკტიონის მძვინვარე, ფრთაგაშლილი გამოსვლა თავისი „დეკადის დროშებით.“

დაგვეყენეს მწერლები ჯგუფებად და, მესამე დღეა, ფაბრიკა-ქარხნებში, სახელდახელო კონიუნქტურულ შეხვედრებზე დაგვარბენინებენ, რათა მშენებლობის პათოსით და საბჭოთა ტექნიკური პროგრესის რწმენით განვიმსჭვალოთ. არ მახსოვს, რომელ ჯგუფში მოახვედრეს, მანქანით საიდან და ვისთან ერთად ბრუნდებოდა გალაკტიონი, ტაქსის მძღოლთან ჩატარებული ცნობილი დიალოგი კი ელვის სისწრაფით იმ დღესვე გავრცელდა დეკადის მონაწილეთა შორის.

მოსაწყენი, დამღლელი შეხვედრის შემდეგ, მშივრები და ტაქსში ჩაჯუჯულნი, კრემლს რომ გასწორებიან, ფიქრებში წასული გალაკტიონი უცბად მძღოლს მიჰბრუნებია და უკითხავს:

— Браток, а Вы не пишите стихи?

— Чаво, чаво?! Какие еще там стихи?! — გაჰკვირვებია მძღოლს.

— Почему! Пишите, браток, доходное дело, у нас все пишут... — და ოთხი-ხუთი ისეთი ბობოლა ფუნქციონერის გვარები ჩამოუთვლია, მანქანაში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილა.

ეჭვგარეშეა, იცოდა გალაკტიონმა, რომ მანქანაში ენისმიმტანი „დენშიკებიც“ ისხდნენ, და ეს დიალოგი მათ გასაგონად იქნა ინსპირირებული. მაგრამ შეგეშალა, ჩემო გალაკტიონ! ეგ „დენშიკები“ ის ხალხი როდია, თავიანთ შეფებს დედის გინება სიტყვასიტყვით მიუტანონ! გალაკტიონი გაგინებდაო, — დიდი-დიდი, ესღა გაუბედონ. რაიცა შეფებს შეეხებათ, ცოლგაბოზებული ქმრებისა არ იყოს, თავიანთ თავლაფდასხმას ან ყველაზე გვიან, ან საერთოდ ვერ იგებენ. ოთხასი კაცი ხითხითებდა, ის ოთხი-ხუთი კი ფართიფურთით, გრძელი ხელების ქნევით, თავაღერილი მიმოდიოდა.

„Пишите, браток, пишите, у нас все пишут...»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ზენიტი გონებამახვილობის, სარკაზმით გაჯერებული. საიდან მოდიოდა ეს დაუნდობელი სარკაზმი?! თავდაცვის ინსტინქტიდან, უთუოდ!... ათეული წლების განმავლობაში სისხლს უშრობდა გიგანტს მთავრობასთან „შეკრული“ ჰოეტი — ფუნქციონერი. თითოორორლა კაცმა თუ გაუძლო ცდუნებას, — არ დაჰირისჰირებოდა გალაკტიონს. რაზეა ლაპარაკი, ერთ მშვენიერ დღეს უარი უთხრეს მწერალთა ერილობის დელეგატად არჩევაზეც კი! შეურაცხყოფაც არა ერთხელ მიაყენეს. „მხეცო! მხეცო! ვის უბედავ მაგას!“ — ახსოვს და არ დავიწყებია ჰატიოსან ქართულ მწერლობას გენიის სასოწარკვეთილი შეევირება და მძიმე კარის გამოჯახუნება...

— 3 —

ოცდაათი წელიწადია, ჩემს ოჯახში რუსს ფეხი არ შემოუდგამს(?!) ოცდაათი წელიწადია, რუსეთში ჩემი წიგნი არ გამოცემულა(?!) სტუმარ-მასპინძლობის იმ ახალი, ჩემთვის მიუღებელი, დამამცირებელი, ჩვენივე სიგლახით აღმოცენებული კოლონიური წესისა გამო, რომელიც ტრადიციად იქცა და რომელიც მცირერიცხოვანი ერის მწერალს ავალებს, ჯიბე ამოიფხიკოს და რუსი მწერლის ფხიზელი მასპინძელი იყოს არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ რუსეთშიც...

ეგ ჭუჭი ნეტამც კი მარტო მწერლების „ცეხს“ ეხებოდეს...

მაგრამ, დასამალი არ არის, ადრე, ჩემს გულუბრყვილო უმაწვილკაცობაში, იყო დრო, როცა მჯერდა, უფრო ზუსტად, ვცდილობდი დამეჯერებია ხალხების თუ არა, სხვადასხვა ერის ხელოვანთა და მით უფრო მწერალთა ჭეშმარიტი მეგობრობის შესაძლებლობა. ამიტომ სასიამოვნოდ დამრჩა, როდესაც ლიტერატორთა მოსკოვური სახლის რესტორანში ჩემი დანახვით იგორ შკლიარევსკიმ და სტანისლავ კუნიაევმა გულწრფელად გაიხარეს და სახელდახელოდ ჰატივი მცეს. ხოლო შკლიარევსკიმ, როგორც მონადირემ და მებადურმა, თავისი ნანადირევით გაწყობილ სუფრაზე დამჰატიჟა ქალაქგარეთ, სიდედრის ბინაზე, მოსკოვის მახლობლად, რომელიღაც ჰატარა, ეგრეთ წოდებულ „სპუტნიკ-ქალაქში“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შკლიარევსკი მშვენიერი პოეტია და კუნიაევიც არანაკლებ. სუფრა მართლაც ნანადირევით იყო გაწყობილი და გულითადობით აღბეჭდილი. მაგრამ მთავარი დეკადის ამ ეპიზოდში ის იყო, რომ სსენებულ წვეულებაში მე მართლაც მივიწვიე გალაკტიონი, რაზედაც უარი მითხრა. მიწვევა მე ოცდაექვსი მარტისათვის მიმიღია და გალაკტიონიც ამ დღეს მიმიწვევია, რასაც თავად აღნიშნავს დეკადის დღიურში. გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მეთორმეტე ტომში ვკითხულობთ:

„დღეს მურმან ლებანიძე მეპატიჟებოდა, ვიღაც ორი რუსი პოეტი ცხოვრობსო აქ... მე უარი ვუთხარი. მურმანს აუღია გუშინ ანტოლოგიის ჰონორარი. მეც ხომ მეკუთვნის. მივალ იქ ზეგ ანტოლოგიისთვისაც, „იზვესტიისთვისაც“, „ჰრავდისათვისაც“

ამ სტრიქონებში მე გალაკტიონისაგან მურმან ლებანიძის ვერც ქება ამოვიკითხე და ვერც ძაგება, საქმიანი ჩანაწერია და მეტი არაფერი... მაგრამ აქვე, ამ დღიურში გახლავთ მეორე, 23 მარტის ლამის იდენტური ჩანაწერი საგულისხმო განსხვავებით, რომელიც ანალიზისაკენ გვიბიძგებს და ზოგ რასმე ცხადოფს...

„ლეონიძე შემხვდა სასტუმროსთან. მითხრა: — არ გისადილნია, კაცო?! მოდი, აქ შავიდეთო. მას დაეთანხმა ქუთათელიც. მე ვუთხარი, საქმეზე მეჩქარება-მეთქი... „დროშები მაღლა, მაღლა, სულ მაღლა!“

ორი აზრი არ შეიძლება გაჩნდეს ამ ორი ტექსტის შედარების შედეგად. ურეკვად დაჯერებული თავის შეუვალ სიდიდეში, გალაკტიონი გაღიზიანებულია უფროსი თაობის პოეტებით საერთოდ და კერძოდ ლეონიძით — ყველაზე მნიშვნელოვანით მეტოქეთა შორის, აგრეთვე ჩემი საყვარელი პოეტით, რომელიც მას (გენიოსს!) თავს უტოლებს...

რაიცა მურმან ლებანიძეს შეეხება და მისთანებს, ეს ხალხი სცნობს გალაკტიონის სიდიდეს, ეს ხალხი არ შედის ოპოზიციაში და გალაკტიონი ყოველ მათგანს თავთავისას მიაგებს ნიჭიერებისა და კიდევ სხვა ზოგი რამის გათვალისწინებით.... აი, ასეთია ანალიზის შედეგი, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 4 —

თუმცა კი ჭიქა ღვინოზე მაპატიჟობლად დეკადის დღიურში გალაკტიონი ორ კაცს გვიხსენიებს, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტუვი, რომ, ცნობილი გახლდათ რა ღვინიანი ტაბლის პატივისმცემლობით, პოეტს იმ დღეებში სულ ცოტა, ასმა კაცმა მაინც შესთავაზა ჰურ-მარილი, — ვის „წარაფეები“, ვის მანავის მწვანე და სხვა ათასი ჩვენი დელიკატესი ჰქონდა მოსკოვს ჩატანილი, — მაგრამ დეკადა მიიწურა და გრძელმა ათმა დღემ ისე ჩაიარა, ცხონებულს ღვინო არ დაულევია.

— ბატონო გალაკტიონ, ხომ არ დავმსხდარიყავით?! ძალიან გთხოვთ!

— აჰ! არ შემიძლია, ძამიკო! გმადლობთ!

— ბატონო გალაკტიონ, თითო ბოთლს ვაპირებთ... მხატვრებს თუ გვიკადრებთ...

— აჰ! საქმეზე მაგვიანდება, ძამიკო! არ გეწყინოთ!

ხოლო უფრო სანდო ხალხს — ხმადაბლა, გამხელილი:

—„გვიშპიონებენ“, ძამიკო, და ნუ ვიზამთ მაგას!

— ვინ, ვინ „გვიშპიონებს“, ბატონო გალაკტიონ? ვისთან „გვიშპიონებენ“?!

— ვითომ არ იცი ახლა შენ!

საიდუმლოებით მოცული საქმე კი შემდეგში მდგომარეობს: მჟავანაძე მოსკოვს ჩამობრძანებულა უკვე, ჩვენი ირაკლი და სხვა შეფები კვერდში მოუსხამს, დეკადის წარმატებებს აჯამებენ და ორდენებს ანაწილებენ თურმე. გალაკტიონის დაჯილდოვება შესაძლებელია მხოლოდ პირველი სიდიდის ორდენით, რომელიც, როგორც სულ მალე გაირკვევა, მწერლობისათვის ერთადერთი ეგზემპლარია გამოუოფილი, ამიტომ სხვას შესვდება და არა გალაკტიონს. თავის მხრივ გალაკტიონი საკსებით ლოგიკურია: „პირველი პოეტი მე ვარ, ის ერთადერთი — მე მეკუთვნის, ოღონდ: არ უნდა დავთვრე, უსიამოვნება არავისთან მომივიდეს, საბაბი არ მივცე უგულვებელყოფის... რაო, ლენინის მეორე ორდენი რა ოხრად მინდა?!! ხალხისთვის მინდა, ბიძიკო, ხალხისთვის! ხალხის დასანახად! ვიცნობ მე ხალხს!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდათერთმეტ მარტს დეკადა „დაჯამებულია“ და გვიან ღამით სასტუმროს მეათე სართულზე ლიფტიდან გამოსულ გალაკტიონს, როგორც იტყვიან, ცეცხლი არ უკიდია, მაგრამ ბოლი ასდის...

— ბატონო გალაკტიონ, — ვეუბნები გულდაწყვეტით, — მთელი კვირა გეხვეწეთ... ახლა სად იყავით, ვისთან იყავით?!

— რა მნიშვნელობა აქვს, ძმიკო! წავაგეთ დეკადა, წავაგეთ და დავლიე, აჰა, რას ვიზამდი?!

ჰორტფელი გამოვართვი. ნაწყენი ვარ, მაგრამ მაინც უნდა გავამხნევო: რატომ, ბატონო გალაკტიონ, რატომ წავაგეთ, ტრიუმფალური იყო თქვენი გამოსვლა სვეტებიან დარბაზში, თითქმის ყველა გაზეთში თქვენი ლექსებია და თქვენი ქება-დიდება-მეთქი, — ვამშვიდებ.

— აჰ! არ მითხრა, ძმიკო! წავაგებდით, აჰა, რა იქნებოდა! გააბეს გრძელ-გრძელი ლექსები და ახლა კიდევ... ტაშფანდური! — ერთს, ორს, სამს, ბობოლა ჰოეტებს ასახელებს და სიცილით კვდება. დაასახელებს თავისი შერქმეული სახელით და — ხი-ხი-ხი, — დააყოლებს... — ახლა კიდევ, ამ ჩვენს სიმონიკას ანტოლოგია გამოუცია, თავისი ორმოცი ლექსი შეუტანია და საწყალი გალაკტიონის თორმეტი, მამიკო, თორმეტი ლექსი...

ნომერში მივაცილე. ჰატარაა ოთახი, მობრუნება ჭირს. ჰალტო კი გავხადე, „მაგრამ ჰიჯაკის გახდაში შველა იუკადრისა, მაინც უოჩაღად იყო, ძილინებისა-მეთქი, გამოვეშვიდობე.

— 5 —

ჰირველი აპრილი გათენდა, ტუილისა და მოტუუების დღე. მოგვატუუეს დეკადით და ახლა, მოტუუებულებს, სამშობლოში გვისტუმრებენ. რამდენჯერ მითქვამს, აღარ წავალ-მეთქი მოსკოვს, და მაინც შევცდები ხოლმე...ერთხელ მე და მუხრანმა ერილობის დელეგატობაზე უარი განვაცხადეთ და ღვთის რისხვა დაგვატეხეს თავს, რაღაც აზრი ამოიკითხეს ჩვენს უარში, კაცმა რომ თქვას, რა აზრიც ჩვენ გვქონდა უარით გაბაზრებული, — მაგათ არაფერი ეშლებათ! მადლობა ღმერთს, გათავდა ეს დეკადა, თბილისი მომენატრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა საათი იყო. გალაკტიონი გამახსენდა და საჩქარად ტანთ ჩავიცვი. წუხანდელ ნაღვინევს კარზე მივადექი, ფრთხილად დავაკაკუნე...

— Кто там?! — წამსვე გამომეპასუხა კრიალა, საყვარელი ხმა.

— მე ვარ, ბატონო გალაკტიონ, მურმანი ვარ...

— შემოდი, ძამიკო, შემოდი, ღიაა კარები...

ვერ გეტყვით, კარი რატომ იყო ღია, საბანი მოისროლა და მკვირცხლად წამოჯდა საწოლზე. გრძელი, ძველებური ჰერანგის ამხანაგი აცვია, კოჭებთან ზონრებით შესაკრავი. შეჰყო ხელი საწოლქვეშ, გამოათრია მომცრო ჩემოდანი და სახურავი ახადა. სავსეა ჩემოდანი თავისივე ფორმატის, ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი, გალაკტიონის სტამბური ჰორტრეტებით. სტამბის საქმე მე არ შემეშლება, დასტაში ასე, ხუთასი ჰორტრეტი მაინც იქნება... ბეჭდვა მკრთალი, არცთუ სარისხიანი, ფაქტიურად — წუნი...

— კინაღამ დამავიწყდა, ძამიკო, საჩუქარს რომ დაგჰირდი, — საწერი მაგიდა ზედ სასთუმალთან აქვს, ამოიღო ჩემოდნიდან ერთი ჰორტრეტი, ჩაიჩოჩა ოდნავ მაგიდისკენ და, ჰირველ ეოვლის, სიგელ-გუჯრის ბოძებას შეუდგა...

ჰასტა არ არის, უფრო მელანს ჰგავს: „ჩემს მურმანს“ — წავიკითხე ჰირველი სტრიქონი სიხარულით. მეორე და მესამე სტრიქონის აქ ჩაწერისაგან თავს ვიკავებ... დადო კალამი მაგიდაზე, ჰორტრეტი ოთხად გაკეცა და გამომიწოდა: — ეს საბუთად, ძამიკო! ეს კიდევ — სახმარად! — დასწვდა დასტას და ერთი ჰორტრეტიც დამიმატა...

ღღე დიდებულად იწყებოდა. არავითარი წუხანდელი ბახუსის კვალი! ღიღინით ტანთ ჩაიცვა. ფრინველივით თავისუფალი იყო. აღარც ლენინის ორდენი ახსოვდა და აღარც დეკადის ფაციფუცი. მე რესტორანი შევთავაზე, ის ბუფეტს უჭერს მხარს: — ახლა, ძამიკო, შევალთ მე და შენ ჩვენს ბუფეტში და გამოვალთ „ჰახმელიაზე“, მშვენიერი ბუფეტია აგერ, ჩვენს სართულზე!“ — გამოვიხურეთ კარი, გავიარეთ გრძელი, გრძელი კორიდორები და შევედით ბუფეტში...

— Доченька, как живете, припеваючи?! — მიეფეკვილა ფაშფაშა მებუფეტე დედაკაცს. მეთოდი აქვს გალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

კტიონს საკუთარი, დიალოგს უწეინრად შორიდან იწეებს, მა-თრახივით ფინალი კი წინასწარ მოაზრებული აქვს.

— А Вы не бывали, доченька, у нас, в Тбилиси? — ეს უკვე მეორე, ცბიერი ეტაპია, — ნებისმიერი პასუხით ეგრეთ წოდებულ „სატოპკეს“ მიიღებს, ფრენბურთის ენით რომ ვილაპარაკოთ.

დედაკაცი ჰკვება, რომ ოდესღაც სომხეთში იყო გათხოვილი და, როგორც ახსოვს, თბილისი მატარებლით ჩაიქროლა, თანაც ღამით, მაგრამ გალაკტიონს ეგ არ აინტერესებს, სარეალიზაციო ფრაზა დაზუსტებული აქვს:

— Приезжайте, доченька! — ალერსით მიმართავს, — к нам все приезжают: Тихонов! Михонов! Пахомов!... Грибоедов у нас захаронен... Вы тоже, Вы тоже приезжайте!...

სამი მაგიდიდან მცირე ბუფეტში ორ დანარჩენ მაგიდას ჯრელფესკიანი და საერთოდ ჯრელი შუა აზია უსხედს. ჰურმარილს, დღეის კრიტერიუმებით, არა უშავს: ტაფამწვარი იუგოსლავური ლორით, სოსისი, ყველი შეეცარიული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხიზილალა — შავიც და წითელიც... ცხრაას ორმოცდათვრამეტი წელია, ხრუშჩოვის დროებაა, მაგრამ ჯერ კიდევ არა უჭირს-რა იმპერიის სატახტოს... ვსვამთ „სტოლიჩნის“ და ვაყოლებთ ლუდს. მოვდექით ხასიათზე. ორას ორმოცდაათ გრამში ვართ, ამ დილით მეტს არ ვაპირებთ, გამოვედით ბუფეტიდან და დავადექით გრძელ კორიდორს...

რა საკითხს ვიხილავთ ახლა ჩვენ, ამ დილით, სასტუმრო „მოსკვას“ მეათე სართულის გრძელ კორიდორში. მოვდივართ და მოვსაუბრობთ, ძირითადად, გალაკტიონოლოგიაზე, როგორც მეცნიერების დარგზე. „ბევრი მტერი ჰყავს, ძამიკო, თქვენს გალაკტიონს, ბევრი მტერი! მაგრამ ჰატრიოტებიც ხომ ჰყავს?! მერე?! სირცხვილი არ არის, რომ დღემდე, საქართველოში, არსებობს შექსპიროლოგია და არ არსებობს გალაკტიონოლოგია, როგორც ასეთი?!“..

— ბატონო გალაკტიონ, — ვიწყებ მე ფრთხილად და ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს გამოცდას ვაბარებდე, — რა მნიშვნელობა აქვს დროის ამ თვალშეუდგამ უსასრულობაში ათს თუ ოც წელიწადს, როცა საუკუნეც კი თვალის დახამხამებაა... გაივლის ოცი წელიწადი, ძალაუფლება ჩვენი თაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში აღმოჩნდება და ჩვენ, ჩვენი თაობა დააფუძნებს ბალაკტიონოლოგიას... ნუ სწუხართ თქვენ მაგას!

გაიხარა, ფრთა გაშალა, გაიფოფრა და გადიდდა:

— აგაშენა ღმერთმა! სწორი ხარ, ძამიკო! რა მნიშვნელობა აქვს ათსა თუ ოც წელიწადს! მთავარია, ოციდან ოცდაერთში მოადინოს სხეპა ისარმა — ოცდამეერთე საუკუნეში... — წამით შეჩერდა, ჩაიცინა და უცბად მეკითხება:

— თუ გახსოვს ჩემი „შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა, მტერს და მოღალატეს ბოლი აადინა“... რაზეა ეგ, თუ იცი, დაწერილი? აპა, თუ მიხვდები?! „ნიკორწმინდაზე“, ძამიკო, „ნიკორწმინდაზე“... „ნიკორწმინდა“ რომ დაგწერე შოვში, ისარი იყო ზოვისთვის და იმან მოადინა სხეპა თბილისში... შენმა ბლოველებმა მასწავლეს, ძამიკო, მშვენიერი რაჯული გამოთქმაა ეგ „სხეპა მოადინა“...

ამასობაში კორიდორმა ჩვენი ბინებისაკენ გაუხვია, სართულის მორიგესთან ბალაკტიონმა ვიდაც ორი ადამიანი შენიშნა და აღტაცებულმა იყვირა:

— ა, ბატონო, ჰირველი ბალაკტიონოლოგი! არც მთლად მასეა, ძამიკო, საქმე, დღესაც გვყავს ბალაკტიონოლოგები!

მკლავში მკლავი გამომდო და ამაჩქარა. ეჯვარეშე იყო, რადაც ჩაიფიქრა. ჩვენგან ასე, ოციოდე მეტრზე, „კოვერკოტის“ ორი ნაცრისფერი „მაკინტოში“ მოჩანდა. აქეთ-იქით, „მაკინტოშების“ გვერდით იატაკზე ორი ჩემოდანი იდგა. რომლები არიან, ჯერ ვერ ვხედები, ოღონდ ჩვენი დეკადის ხალხი როა, სადავო არ არის, თანაც ერთ-ერთი მანდილოსანი უნდა იყოს. მორიგე დიასახლისთან წვრილწვრილ ხარჯებს ასწორებენ, დეკადა დამთავრებულია და შინ მიემგზავრებიან.

მივუახლოვდით, მივუახლოვდით, წავეპარეთ ორ-სამ ნაბიჯზე ცოლ-ქმარს, ჩაუხველა ბალაკტიონმა ხმამაღლა, შემობრუნდა ჯმუხი, ულვაშიანი ბერიკაცი და — სანდრო შანშიაშვილი ეოფილა... შემიშვა ხელი სასწრაფოდ ბალაკტიონმა, წაიწია სანდროსკენ, სტაცა ხელი სიყვარულით ნიკაპქვეშ, ამოუსვა შეჯაგრულ ეიეაპოში და ეუბნება:

— ჩვენებიანთ სანდრუა! როგორ გიკითხო, ძმაო სანდრო?!

შეირხა ბატონი სანდრო, ცოტა არ იყოს, უხერხულად. ფეხი მოინაცვლა. სახტად არის დარჩენილი, ხმას ვერ იღებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი აქციისაგან გაშტერებული... მერე რას, მეტ-ეგის, მარტო რომ გამომიჯერს, საიდან მეცოდინება, ახლა კი მოწმე ვარ, ჩემი თანდასწრებით დიალოგი ასეთ სახეს იღებს:

— ჰო, როგორ გიკითხო, ძმაო სანდრო, ხომ კარგად? — ჩაეკითხა გალაკტიონი.

— ძალიანაც მშვენიერად! — ეოემანით ამოღერღა ბატონმა სანდრომ.

— ძმაო სანდრო, აგერ, ამ კაცმაც იცოდეს, ხომ დაწერე შენ მშვენიერი წერილი გალაკტიონზე?! გახსოვს, ხომ?!

— დავწერე, მაშა! როგორ არ მახსოვს?!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — ჰირველად ვნახე, რომ სიტყვას ეძებს გალაკტიონი, — ხომ ხარ იმ აზრზე, ძმაო სანდრო. დღესაც იმ აზრზე?!

— ვარ, მაშა! არა, გალაკტიონი რო ნაღდი ჰოეტი ხარ, ეგ ხო მეც მითქვამს, მაგრამ... ვარ, ჰო, ეხლაც იმ აზრზე ვარ, მაშა!

— ჩვე-ნე-ბი-ანთ სან-დრუ-ა! — დაუმარცვლა გალაკტიონმა, — აბა, შენ იცი, იუავი, ძამიკო, იმ აზრზე! — ერთხელაც ამოუსვა ხელი ეიეაბოში, მტაცა ხელი და ცოლ-ქმარს გამარიდა...

მეტისმეტად უხერხულ სიტუაციაში ჩავარდნილმა, რა ვქნა ახლა მე?! ერთ ხანს გალაკტიონის ნომერში შევიცადე, გარეთ გამოსვლა აღარ მინდოდა, რადგან მორიგე ქალის მაგიდა ჰირდაჰირ გალაკტიონის კართან იდგა შანშიაშვილებს გვერდს ვერ ავუვლიდი. ვითრიე ფეხი, მაგრამ მეც ჩასაბარგებელი ვიეავი და იქ ხომ არ დავრჩებოდი! ავიღე მაგიდიდან ჩემთვის ნაჩუქარი ჰორტრეტები, გავაღე კარი და კედელ-კედელ მივიპარები...

— შენა, ბიჭო, მურმანო! მოდი აქა!

რა მეტი გზა მქონდა, მიებრუნდი, წინ დავუდექი და ავიწურე...

— შენა, ბიჭო, მაგას ნუ აჰეოლილხარ! ლოთია ეგა და აფრაკი! — და ხმას აუწია: — მერე კიდევა — მხეცია და ნადირი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო სანდრო, — ვეუბნები დაბნეული და აფორიაქებული, — მე თქვენ პატივსა გცემთ და მაგას ნუ იკადრებთ! კარგის მეტი არაფერი უთქვამს თქვენზე, გაუსარდა თქვენი დანახვა, ვერაფერი გამიგია, რაზე შელაპარაკდით...

— არა, რაო, მაინც რა კარგებისა ამიტუდაო?! — დაინტერესდა ბატონი სანდრო.

— რაო და, წერილი დაგიწერიათ გალაკტიონზე, კმაყოფილი იო, პირველი გალაკტიონოლოგიო, თქვენზე თქვა...

— რაო, რაო?! გალაკტიონოლოგიო?! ეგლა აკლია სანდროსა! დამიწერია რა, ტუავი კი არ გამიძვრია მაგისთვინა?! არ წაგიკითხავს ჩემი წერილი მაგაზედა?! აი, როდის იო თქვენი ერილობა, ახალგაზრდებისა? ორმოცდარვაში, არა? ლექსებს რო ჭკითხულობდით, მე რო ჩემი ტომეულები მოვიტანე და, ვინც მამეწონეთ, დაგირიგეთ... სწორედ მაშინ, „ლიტერატურა და ხელოვნებაშიდა“... თუ არ წაგიკითხავს, ეხლა წაიკითხე... შენ კიდევ მაგას უჯერ მხარსა... არა, კაცო, ცუდი პოეტია-მეთქი, ამას როგორ ვიტყვი, ოდონდ წუალწუალაც ბევრი წაგვიკითხავს მაგისა...

. . .

თბილისში დაბრუნებისთანავე მოვიძიე „ლიტერატურა და ხელოვნებას“ საჭირო კომპლექტი, წავიკითხე ბატონ სანდროს ვრცელი წერილი გალაკტიონის წინააღმდეგ. ეს იო პოეტის გაბიაბრუების ერთერთი უხერხული, წარუმატებელი ცდა.

ე პ ი ლ ო გ ი

მაისის ბოლოს ვერის ხიდთან შევხვდით, გამაჩერა და სიცილით მეუბნება: „წავაგეთ, ძამიკო, დეკადა, მარა... მაინც კარგი იო, ხომ?!“ — ეგ „მაინც კარგი“ უთუოდ მის მახვილგონივრულ გამოხდომებზე და მოსკოვში ჩვენს დაახლოვებაზე იო ნათქვამი, თან, ქვეცნობიერად, ფმასაც გულისხმობდა, რომ ის დაახლოვება ჩემთვის იო კარგი. უმალ მივუხვდი და: მაინც კარგი კი არა, ძალიან კარგი იო-მეთქი, — სიცილითვე მივუგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულმა ჩაიარა, ზაფხულმა ჩაიარა, თბილისში შემოდგომა გაბატონდა და დეკადა დავიწყებას მიეცა. ნოემბრის ბოლო იქნებოდა, ალბათ, გაზაფხულს აქეთ აღარ მენახა და უცბად... ცისფრად შეღებილი დარაბა, უბრალო მუშური სასადილო ჩვენი ჰოლიგრაფკომბინატის უკანა ეზოს ჰირდაჰირ, უნიფორმაღის მახლობლად, ეოფილ კამოს ქუჩაზე...

ჰატარა, ერთოთახიან სასადილოში სამი მაგიდა იდგა, ერთი თავისუფალი, რომელსაც გამომცემლობიდან აქ მოხული მე და ოთარ ჭელიძე მივუსხედით. მარჯვნივ, მეორე მაგიდაზე, ოთხი-ხუთი ახალგაზრდა ხმაურიან ქეიფს ეწეოდა, მარცხენა კუთხეში კი, მესამე მაგიდასთან, ხაზგასმული განმარტოებით, ზურგშექცევით ზის გალაკტიონი, ჰორტფელი მაგიდაზე უდევს, თავი ჩაუღია, ბეჭებს იქით თეფშს ვერ ვხედავთ, ერთი შავი ბოთლიკა კი მაინც მოჩანს...

ჰორტფელთან ერთად, ხალხთან ეს ზურგშექცევით ჯდომა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გალაკტიონი საქმეებით არის დაკავებული, სასადილოდ არის შემოსული და სათრობად არა სცალია. „რა ვქნათო?“ — ხმადაბლა მეკითხება ოთარი. „სადილობა ვაცადოთ და მერე ვცადოთ-მეთქი“, — ხმადაბლავე ვეუბნები.

თითო შავი ბოთლიკა ჩვენც დავიდგით, „ბუღლამას“ შევექცევით და გალაკტიონის ფეხზე ადგომას ვუდარაჯებთ. შავი-მეთქი, ბოთლზე იმიტომ ვამბობ, რომ საფერავს გეახლებით, სხვა არაფერი აქვს დახლიდარს, სამაგიეროდ, თუ გალაკტიონი მართლა „ვამოვიჯირეთ“, მწვადს გვჰირდება, — დახლიდარიც ეგ არის და ოფიციანტიც... ანგარიშს უსწორებს გალაკტიონი, წამოდგა, ჰორტფელს დასწვდა და, წასასვლელად რომ შემობრუნდა, ჩვენც ფეხზე ამდგრები დავუხვდით...

— თუ შეიძლება, გთხოვთ, ბატონო გალაკტიონ! — სიტყვები კარგად არ მახსოვს, რაღაც ამისმაგვარი.

— ოჰ! თქვენ ხართ?! ვერ დავლევ, მაგრამ... სიამოვნებით, ძამიკო, სიამოვნებით! — უსიდად არ შეუოცებია, ახლაღა დაგვინახა ნამდვილად. მესამე სკამზე თვითონ ჩამოჯდა, მეოთხეზე ჰორტფელი ჩამოდგა ისე, ცოტა ხნით რომ შეეოვნდება კაცი სხვის სუფრასთან, წასვლას რომ აჰირებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავფაცურდით. მოვითხოვეთ სამი ბოთლი, მწვადიც შეკვეთეთ. მოგვესწრო და ამას სამი ბოთლი კიდევ მოვაყოლეთ. ჰირველ სადღეგრძელოზე რას ვიტყოდით?! ვუთხარით კაი-კაი სიტყვები, გაეხსნა გული და იმანაც გვითხრა. ახლა სრულ უაზრობად მეჩვენება იმის აღდგენის ცდა, რაც იმ დღეს იქ ითქვა. იმ სიტყვებს მე ვერ გავიხსენებ და კიდევაც რომ გავიხსენო, არ დავწერ, რადგან შეთხზულს, შელამაზებულს დაემსგავსება. ყველაფერს აჯობებს, მოკლედ ვთქვა, რომ სულში ჩავუძვერით და სულში ჩავიძვრინეთ კაცი, რის გამოც ცაში ვფრინავდით...

შევხარხოშდით გვარიანად და სუფრის მომთავრების დრომაც მოაწია. ამასობაში დახლიდარმა იმ მეზობელი სუფრიდან გამოგზავნილი, არაფრად საჯირო, სრულიად ზედმეტი ექვსი ბოთლი მოარიხინა და სამადლობელი ჯიქით ოთარ ჯელიძე ეახლა მეზობლებს. გალაკტიონი მე შემომაცქერდა: — წასვლის დროა, ხომ?! — მითხრა ეშმაკური ღიმილით.

სულ ცოტა, სამ საათს მაინც გაგრძელებულიეო ჩვენი სერობა, რადგან დღის ბოლო იეო, გალაკტიონი რომ ხელთ ვიგდეთ, ახლა კი გვარიანად შებნელებულიეო. ჩვენ ფრთხილად, თითისწვერებზე გამოვედით დუქნიდან და ოთარ ჯელიძე, ღალატით, ხმაურიან სუფრას შევატოვეთ...

მარცხნივ — ჩაბნელებული კამოს ქუჩა, მარჯვნივ — უნივერმაღის განათებული ფასადი და მარჯანიშვილის თეატრისკენ გასასვლელი... აქვე, თეატრთან ცხოვრობს გალაკტიონი... შორი გზა არ გვქონდა სავალი, სახლამდე მივაცილე.

სადარბაზოში ბნელოდა.

გარეთ, ნათურისქვეშ შევჩერდით, გასაღები გარეთვე მოიხრიკა ჯიბეში.

ეოჩაღად იეო, ოღონდ მძლავრი მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, ნასვამზე სუნთქვა აჩქარებული ჰქონდა.

— მნახე, ძამიკო, მნახე! — ამ სიტყვებით დამეშვიდობა

. . .

გულსაწყვეტი, გულსატკენი სიტყვებია ეს სამი სიტყვა ჩემთვის:

„მნახე, ძამიკო, მნახე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით ეოფაცხოვრებითსა და არასენტიმენტურ სიტუაციაში წარმოთქმული ეს სიტყვები, გმირული თვითმკვლელობის შემდეგ, საოცარ ფიგურალურ მნიშვნელობას იძენენ ჩემს შემეცნებაში და საყვედურად ჟღერენ...

„მნახე, მამიკო, მნახე!“

მერედა, ვნახე მე?! ნახეთ თქვენ?! ნახა სხვამ?!

შემეძლო მენახა მეორე დღესვე! მენახა მესამე დღესაც! მენახა ეოველდღე! ის ხომ უცთომელი გუმანით სცნობდა მტერსა თუ მოყვარეს! ვნახეთ, ბატონო, ოღონდ ოთხი თვის შემდეგ — ჯერ ტახტზე და მერე... მუხის ჯურჯელში მწოლიარე...

ანდა კიდევ... ეს ჩემი ოცდაათი ლექსი! არა ვართ ჩვენ კაი ხალხი! არის კი რომელიმე მათგანი სიცოცხლეშივე მიძღვნილი?! მოსცხებია კი რომელიმე მათგანი დაშანთულ გულს ჰოეტისას?! „აქ ჰოეტს — ფარაონს გაუწყვეს ფანჩატური, — ჭრილობა გაუგრილეს რკინით დაშანთული“, — ვწერ მე ამას ლამის ოცი წლის შემდეგ. დაღუჰვიდან მხოლოდ ათი წლის თავზე, 1968 წელს ჩავედი მე ჭკვიშში ვასილ ტაბიძის კერიის ჯაჭვის სანახავად, გალაკტიონის გარემოსა და საგვარეულოში საცხოვრებლად, ორჰირის ფშანზე ნეფის ჭალაში გასასვლელად და ამ ჰატარა წიგნის წამოსაწყებად...

შენ ხარ მიწა! შენ ხარ ახლა მარილი!
ხარ ბალახი! ხარ ბალახზე მტვერი!..
მოგონებით სდუმან შემოგარენი —
ეურში მესმის ლაჰარაკი შენი!

მამაჩემის, სილოვან ფირანის ძე ლებანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ამ სტრიქონებით ვამთავრებ წიგნს დიდ მასწავლებელზე.

ა გ ვ ი ს ტ ო, 1990.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

გალაკტიონი (წინასიტყვა) 5

* (ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ...) 9
* (გალაკტიონი მობრძანდა...) 10
* (როგორც მწვრთნელი შიშითა და ძრწოლით...) . . . 12
* (— ჩამოჰკარი ჩანგს! ჩამოჰკარი ჩანგს!) 13
* (იქ ირჩეოდა რომელიღაც პოეტის ბწკარი...) 14
* (ლექსის მწერალი ხშირდება, სამწუხაროა რაიც!..) . . 16
* (სადაც დგანან პოეტები, იგი მარად იქ იდგა...) . . . 20
* (მოვარდნილი მეყვსეულად, უცბად წაჭერილი ყელში) . 22
* (გალაკტიონი როგორც იტყვის...) 23
* (კაცი სხვის რითმებს წვრთნის...) 26
ლეგენდად დარჩეს! 28
* (ფერადები მოჰქრის ჭრელი...) 32
* (მთელი ღამე თოვლი თოვდა...) 34
ღამისთევა (19 მარტი, 1959) 36
* (ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა...) . . . 38
* (მინახავს ასე: ნამდვილი მკვლელი...) 42
* (კორდს მიჰყვება ქარდაქარ...) 43
* (რომ მოესაჯათ, — ვეკითხები პოეტებს ამას...) 44
* (ხალხს, სწორუპოვარ პოეზიის ძველთაგან პატრონს...) . 46
* (პუშკინმა სკვერი არჩია...) 47
დიდი პოეტი ჩვენ დროდადრო ასეთიც ვიცით... 48
* (მოგონებები მახრჩობს, გულით ხანჯლები დამაქვს...) . 52
* (იყო ტიციან და იყო გოგლა...) 54
* (ოციან წლების მძაფრი სურნელი...) 55
* («პარაბელუმთან» ძველი «ტეტეც» უჯრაში გდია...) . . 58
* (უყურძნო მთის რაჭა მესამე რაჭაა...) 60
* (რაზმი ნამდვილი პოეტების — სულ ერთი მუჭა!) . . . 61
მკვდრები 64
ერთხელ, სულორის მხრიდან, ზემოთით 68
გასწი, იალე და იარე კელაპტრით ხელში! 75

10 დღე გალაკტიონთან (მოგონებანი) 77

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Мурман Силованович ЛЕБАНИДЗЕ
Стихи о Галактионе
(на грузинском языке)

რედაქტორი ნ. ბუხრაძე
სამხატვრო რედაქტორი გ. ზალკალაშვილი
ტექრედაქტორი მ. ამირანაშვილი
უფროსი კორექტორი მ. კებულაძე
კორექტორი ლ. ლიპარტელიანი

სბ №4724 литературно-художественное издание

გადაეცა წარმოებას 22.08.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.09.90; საბეჭდი ქაღალდი № 1 84 × 104[1]/32; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6; პირობითი საღებავგატარება 9; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,5; ტირაჟი 15 000; შეკვეთა № 1288

ფასი 4 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი,
გ. ჩუბინაშვილის ქ. № 50
Издательство «Ганатлеба», Тбилиси,
ул. Г. Чубинашвили № 50
1990

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა
გრ. რობაქიძის გამზ. № 7

წიგნი აიწყო სსსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წიგნის ფაბრიკაში ფოტოწყობის მანქანებზე, დაიბეჭდა და აიკინძა თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში.

Книга набрана на книжной фабрике Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли способом фотонабора, отпечатана и переплетена на Тбилисской картографической фабрике.

Заказ № IX–20

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*

ქალაქია ოცდა წელი,
ბევრი ლაშქარია.
ჩანდეს ბილიკი ფანი ხელი,
ჩანთა ამაკანია.
ეგეთია ლაშქარი ბინადარ,
ერთი — ერთია...
„ეგეთია ჩანდეს ლაშქარ!"
ჩვენისკენ ლაშქარია.

ალეკო